მომსახურების ხელშეკრულება №13

ქ.თბილისი 02.02.2023

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელი დაწესებულებათა ცენტრი (ს/კ:241499552) , შემდგომში - დამკვეთი ან შემსყიდველი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ციცია ქაწაშვილის მიერ და მეორეს მხრივ, შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, (ს/კ202057219) წარმოდგენილი მისი დირეტორის რეზო კობახიძის სახით შემდგომში - შემსრულებელი ან მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 2023 წლის ბიუჯეტის სახსრებით მიმწოდებლისაგან ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელი დაწესებულებათა ცენტრში შემავალ 9 სკოლამდელ ფილიალში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის დანერგვა 5 ეტაპად (გეპ ანალიზი,თანამშრომელთა გადამზადება HACCP სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, HACCP სისტემის დოკუმენტაციის შემუშავება, კონსულტაციები შესაბამის თანამშრომლებთან, HACCP სისტემის შიდა აუდიტის ჩატარება). CPV79400000

2. მომსახურების გაწევის ფორმა და პირობები

2.1. მომსახურება მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

2.1.1. მიმწოდებლის მიერ გეპანალიზის განხორციელება

2.1.2. მიმწოდებლის მიერ თანამშრომლების გადამზადება HACCP სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, ქართულენოვანი ტრენინგი ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრში შემავალ 9 სკოლამდელ ფილიალში (საბავშვო ბაგა-ბაღი) დასაქმებულ თანამშრომელთათვის და გასცეს შესაბამისი სერთიფიკატი.

ა.) სამზარეულოში და სამზარეულოსთან რაიმე სახის კავშირის მქონე თანამშრომლისთვის სურსათის ჰიგიენის პრინციპების გაცნობითი ტრენინგი

ბ.) მზარეულის და მზარეულის თანაშემწეების, დირექტორების, ექთნების და მნის ტრენინგი HACCP სისტემის მოთხოვნების შესასწავლად

2.1.3. კონსულტანტმა დოკუმენტურად უნდა გააფორმოს სურსათის უვნებლობის ყველა წინასწარი პროგრამა, შეადგინოს პროცედურები (SOPS), შესაბამისი პროგრამის გეგმა-გრაფიკები და ჩანაწერების წარმოებისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია, უნდა იმუშაოს სურსათთან შეხებაში მყოფ ყველა თანამშრომელთან, რათა გააცნოს მათ წინასწარი პროგრამებით (PRP) დადგენილი მოთხოვნები. ამისათვის შემსრულებელმა უნდა გამოიყენოს: ა) ინდივიდუალური კონსულტაციები - ცალკეული წინასწარი პროგრამა (PRP) განხილულ უნდა იქნას შესაბამისი პროგრამის შედეგიან ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რათა მათ შეძლონ პროცედურებში მითითებული მოთხოვნის პრაქტიკული განხორციელება;

2.1.4 კანონმდებლობის შესაბამისად დამკვეთის პერიოდულ შემოწმებას, რაც მოიცავს მონიტორინგს, ტრენინგებს, სერთიფიკატების გადაცემას და სხვა პროცედურებს HACCP-ის სისტემის საკითხების გაცნობას/დანერგვასა და დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით კონსულტაციებს;

2.1.5. HACCP სისტემის ჩამოსაყალიბებლად, შემსრულებელმა შემსყიდველთან ერთად უნდა უზრუნველყოს HACCP სისტემის 12 ეტაპის და მათ შორის 7 პრინციპის პრაქტიკული განხორციელება.

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ,,HACCP-ის სახელმძღვანელო'' და სკოლამდელი ცენტრის ბაღების სურსათის უვნებლობის ჯგუფთან ერთად განახორციელოს:

- პროდუქტების აღწერა, სპეციფიკაციების განსაზღვრა, ან კორექტირება;
- ტექნოლოგიური საქმეების შემუშავება და მათ ვერიფიკაცია
- ჩაატაროს საფრთხის ანალიზი
- განსაზღვროს კრიტიკული საკონტროლო წერტილები (CCP)
- განსაზღვროს კრიტიკული ზღვრები და კონტროლის ზომები, დაადასტუროს მათი ვალიდაცია;
- დაადგინოს CCP მონიტორინგის სისტემა;
- დაადგინოს კორექცია/მაკორექტირებელი ღონისძიებები;
- განსაზღვროს ვერიფიკაციის პროცედურები;
- განსაზღვროს შესაბამისი ჩანაწერები

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დროულად და ხარისხიანად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

3.1.2. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებლის მიერ გაცემულია კონსულტაცია, რომელიც დამკვეთის მიერ გონივრულ პერიოდში შესრულებული არ არის, შემსრულებელი ვალდებულია წერილობითი ფორმით დააფიქსიროს აღნიშნული რეკომენდაცია და შეახსენოს დამკვეთს მისი გაუთვალისწინებლობის შედეგები.

3.1.3 მიმწოდებელმა უნდა აიღოს სრული ვალდებულება სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს" მიერ HACCP სისტემის ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობების (ინფრასტრუქტურული მოწყობის საკითხების გარდა) კორექტირების განსახორციელებლად, დოკუმენტები შემსყიდველს უნდა მიეწოდოს როგორც ელექტრონულად ასევე ამობეჭდილი/სახელმძღვანელოს სახით.

3.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.2.1. დამოუკიდებლად მოაწყოს თავისი სამუშაო პროცესის ორგანიზაცია და უხელმძღვანელოს მას, განსაზღვროს ხელშეკრულების საგნის შესრულებისთვის საჭირო მეთოდები, განსახორციელებელი ოპერაციების რიგითობა და სხვა.

3.2.2. განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკონსულტაციო მომსახურება;

3.2.3. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებლის მიერ 3.1.2. პუნქტის შესაბამისად წერილობითი ფორმით გაცემულია კონსულტაცია, რომელიც დამკვეთის მიერ გონივრულ პერიოდში ისევ არ იქნება შესრულებული, შემსრულებელი უფლებამოსილია იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

3.3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.3.1. მიიღოს შემსრულებლისაგან მომსახურეობა ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

3.3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს შეამოწმოს მომსახურების გაწევის პროცესი, მოითხოვოს შემსრულებლისგან მომსახურების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და გაეცნოს სათანადო დოკუმენტაციას.

3.4. დამკვეთი ვალდებულია:

3.4.1. დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი დოკუმენტები და ზეპირი ან/და წერილობითი ინფორმაცია;

3.4.2. ხელი შეუწყოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულებაში;

3.4.3. დამკვეთი პასუხისმგებელია მოწოდებული დოკუმენტაციის, ნებისმიერი ინფორმაციის, წერილობითი და ზეპირსიტყვიერი განმარტებების სისწორესა და სისრულეზე.

3.4.4. გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საფასური ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.

4. მომსახურების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4950 (ოთხიათასცხრაასორმოცდაათი) ლარს, დღგ გათვალისწინებით.

4.3. დამკვეთის მიერ ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, ორ ეტაპად: პირველი გადახდა - ხელშეკრულების პირველი სამი ეტაპის დასრულების შემდგომ მთლიანი ღირებულების 50%, მეორე გადახდა - ხელშეკრულების მეოთხე და მეხუთე ეტაპის დასრულების შემდგომ - ასევე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 50%, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისების საფუძველზე, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.2. ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

5.3. შემსრულებელი პასუხს არ აგებს წინამდებარე ხელშეკრულების 3.2.3. პუნქტში აღწერილი პირობის შედეგებზე.

6. კონფიდენციალურობა

6.1. შემსრულებელს არ აქვს უფლება გაახმაუროს, გასცეს ან სხვა მიზნებისთვის გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პერიოდში მიღებული ან/და მოპოვებული ინფორმაცია („ინფორმაცია“) მესამე პირების წინაშე, დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

6.2. კონფიდენციალურობის ვალდებულება არ ვრცელდება ინფორმაციაზე,რომელიც:

6.2.1. წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას მისი გამჟღავნების დროისათვის ან გახდება საჯარო ინფორმაციის ნაწილი შემსრულებლის ბრალეული მოქმედების გარეშე ან თუ ინფორმაციის გამჟღავნება შემსრულებლის მიერ მოხდება ანგარიშვალდებული პირის მიმართ, შესაბამისად მსგავს შემხთხვევებში ინფორმაციის გახმაურება არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევას;

6.2.2. ინფორმაციაზე რომლის გახმაურების ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნულ შემთხვევაში შემსრულებლი ვალდებულია შეატყობინოს დამკვეთს დაუყოვნებლივ სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციის გამჟღავნებაზე მსგავსი მოთხოვნის მიღების შემდგომ; შემსრულებელი ასევე ვალდებულია წარუდგინოს დამკვეთს სახელმწიფო ორგანოებისათვის/ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე კორესპონდენციის ასლები თუკი აღნიშნული დაშვებულია კანონმდებლობით;

6.2.3. ცნობილი იყო შემსრულებლისათვის მისი დამკვეთისგან მიღებამდე.

6.2.4. კონფიდენციალურობის ვალდებულება აღარ იქნება ძალაში ნებისმიერ იმ ინფორმაციასთან მიმართებაში, იმ მომენტიდან რაც ეს ინფორმაცია გახდა საჯარო წინამდაბარე ხელშეკრულების დარღვევის გარეშე.

6.3. მხარეები აცნობიერებენ, რომ შემსრულებლისგან მიღებული კონსულტაციები და დასკვნები განკუთვნილია მხოლოდ დამკვეთისთვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალებების

შესასრულებლად და მათი განზოგადება და გამოყენება დამკვეთის სხვა მიზნებისთვის ან/და მესამე პირებისთვის დაუშვებელია. შემსრულებელი პასუხს არ აგებს კონსულტაციებისა და დასკვნების ამ პუნქტით გათვალისწინებული არასანქციონირებული გამოყენების შემთხვევაში დამკვეთის ან/და მესამე პირების მიმართ დამდგარ ზიანზე.

6.4. დამკვეთმა უნდა აღკვეთოს შემსრულებლის მიერ გაცემულ კონსულტაციებსა და დასკვნების არასანქციონირებული ხელმისაწვდომობა მესამე პირთა მიერ გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით

7.2 მომსახურების მიწოდების ვადებია ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2023 წლის 30 მაისის ჩათვლით

7.2მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 9 საბავშვო ბაღში

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს ან შეიცვალოს:

8.2 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

8.3 მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების უხეშად და/ან არაერთგზის დარღვევის შემთხვევაში;

8.4 ცალმხრივად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, რის შესახებაც ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე შეატყობინებს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი არანაკლებ ერთი თვით ადრე.

9. ფორსმაჟორი

9.1. არცერთი მხარე არ არის ვალდებული მეორე მხარის მიმართ მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების დაგვიანებისათვის იმ შემთხვევაში თუ ეს პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით, რომელიც შეუძლებელს ხდის მხარეთათვის მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს მიეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება) ყველა სახის სტიქიური უბედურება: მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი და სხვა, ეპიდემია, პანდემია, სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, გაფიცვა, საბოტაჟი, საომარი მოქმედებები, ომი და სხვა. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა არ უნდა იქნეს მიჩნეული ხელშეკრულების დარღვევად მსგავსი გარემოებების არსებობის პერიოდის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეებმა გამოიყენეს ყველანაირი ძალისხმევა რათა შეემსუბუქებინათ მსგავსი გარემოებები.

9.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების შემთხვევაში.

10. სადავო საკითხები

10.1. ყველა უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკებით

10.2. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, დავის გადასაწყვეტად მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1.ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, ქართულენაზე. თითო ეგზემპლიარი გადაეცემათ მხარეებს.

11.2. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ იწვევს სხვა პუნქტების ან მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსრულებელი:	დამკვეთი:
ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელი დაწესებულებათა ცენტრი	შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“
ს/კ202057219	ს/კ202057219
მის.: ყაზბეგი დაბა სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის N51	მის:ქ.თბილისი დ.უზნაძის N78
ტელ: 599704739 ელ. ფოსტა:	ს.ს „ბაზისბანკი“
საბიუჯეტო ორგანიზაცია	ა/ნ GE11BS0000000083436940
	CBASGE22
	ტელ:595223366 ელ.ფოსტა:info@hygiene.ge
ხელმოწერა: ც.ქაწაშვილი	დირექტორი რ.კობახიძე

The Centre of the Preschool Educational the Kazbegi Municipality
Digitally signed by The Centre of the Preschool Educational the Kazbegi Municipality
Date: 2023.02.03 16:59:05 +04'00'

G.Natadze Institute of Sanitation, Hygiene and Medical Ecology Research LLC
Digitally signed by G.Natadze Institute of Sanitation, Hygiene and Medical Ecology Research LLC
Date: 2023.02.03 15:01:35 +04'00'